სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის 2023 წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დარგობრივი კომისიის

**შეფასების შედეგები**

საჯარო სამართლის აკადემიური დეპარტამენტი

დამტკიცებულია დარგობრივი კომისიის სხდომაზე ოქმი N3 19.04.2024წ

<table>
<tr><td>სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის კრიტერიმები(კომპონენტები)</td><td colspan="2">სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება, რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td rowspan="4">პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლებითი პროექტები</td><td colspan="2">ანალიზი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
<tr><td rowspan="4">შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო კვლევითი პროექტები</td><td colspan="2">ანალიზი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
<tr><td rowspan="4">პატენტები</td><td colspan="2">ანალიზი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
<tr><td>ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა საქართველოში(მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები. კრებულები, სამეცნიერო სტატიები)<br>*ი. გაბისონია, ჯ.გახოკიძე, დ. ნარმანია, ჯ.გაბელია, ი.ხუციშვილი, თ.დარსანია, ი.მინაშვილი, თ.ბარამია, მ.ჭანტურია „სატრანსპორტო სამართალი“, ISBN 978-9941-34-225-7.*<br>*გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2023;2. 822 გვ.*</td><td colspan="2">ანალიზი<br>„სატრანსპორტო სამართალი“ ბოლო პერიოდის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომია სამართლის დოგმატიკაში. აქ თავმოყრილია სამართლის თითქმის ყველა დარგის მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი და უახლესი სამეცნიერო შეხედულებები სატრანსპორტო სამართლის სფეროში. ნაშრომი გამოირჩევა მასში განხილული თემატიკის დეტალურობით და სრულყოფილი წარმოჩენით. თემატიკა ვრცელია და შეიცავს ტრანსპორტის ცნებას, სახეებს, განვითარების მოკლე ისტორიას, საქართველოს სატრანსპორტო გზების ისტორიული ექსკურსს და საქართველოს</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | სატრანზიტო ფუნქციის გეოეკონომიკურ ასპექტებს. ასევე ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სახელმწიფო რეგულირებას საქართველოში. ავტორებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი უზრუნველყოფა და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი მიმართულებები და ასპექტები ტრანსპორტის სფეროში, აქვე განხილულია ევროპის სატრანსპორტო პოლიტიკა. საფუძვლიანადაა შესწავლილი სატრანსპორტო სფეროში ჩადენილ ქმედებათა გამოძიებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების აქტუალური საკითხები. ჩამოყალიბებულია სატრანსპორტო დანაშაულის ცნება და ნიშნები, შესწავლილია სატრანსპორტო დანაშაული უცხო ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. განხილულია აქტუალური პრობლემური შემთხვევები. ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ სატრანსპორტო დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე; წარმოდგენილია სატრანსპორტო დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი და საპროცესო მოქმედებათა თავისებურებები; ყურადრება გამახვილებულია საავტომობილო გზებზე მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების ანალიზზე, მათი დინამიკური ასპექტების, ტენდენციების განხილვით. მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომში მოყვანილია სარტრანსპორტო დანაშაულთა სტატისტიკური ანალიზი. ასევე შესწავლილია ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ისტორიული ეტაპები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახეები, მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა და მომსახურების მახასიათებლები. მნიშვნელოვანია დანარტების არსებობა ნაშრომში, რაც |

<table>
<tr>
<td></td>
<td>
<table>
<tr><td colspan="2">უფრო თვალსაჩინოს ხდის წამოწეულ თემებს დასახულ პრობლემებს და მათი გადაწყვეტის საშუალებებს.</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>წიგნი „სატრანსპორტო სამართალი“-ს საფუძველზე შემუშავდეს სილაბუსი სამაგისტრო სწავლების დონეზე და დაინერგოს სასწავლო დისციპლინა შესაბამისი სახელწოდებით, გაგრძელდეს მუშაობა წარმოდგენილი ნაშრომის დებულებების პრაქტიკული ასპექტების დანერგვის მხრივ</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>წიგნი „სატრანსპორტო სამართალი“ უნდა შეფასდეს დადებითად, როგორც მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე სასწავლო პოტენციალის მხრივ</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>ი.გაბისონია, დ.ნარმანია, ბ.ტეტელოშვილი, ც.გლოველი, თ.დარსანია, ნ.ხარაძე. „ენერგეტის სამართალი“ ISBN 978-9941-34-396-4, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 832 გვ.</td>
<td>ანალიზი<br>სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-<br>კვლევითი პროექტის „საინჟინრო/ტექნოლოგიური სამართლის“ იდეის<br>ავტორი და ხელმძღვანელია პროფესორი ირაკლი გაბისონია. პროექტის განხორციელების<br>მიზნით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაიწყო მუშაობა<br>საინჟინრო სამართლის ინტერდისციპლინური საბაკალავრო და სამაგისტრო<br>პროგრამის შექმნაზე. მისი წინაპირობაა სახელმძღვანელოს, დამხმარე<br>სახელმძღვანელოს, მონოგრაფიისა და სამეცნიერო სტატიების გამოცემა.<br>პროექტის შედეგად გამოიცა სამეცნიერო სტატიები, მზადდება ენერგეტიკის<br>სამართლისა და სამშენებლო სამართლის სახელმძღვანელოები.<br>ენერგეტიკის სამართალი გამოიცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | | სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „საინჟინრო/ტექნოლოგიური სამართლის“ ფარგლებში. |
| | | რეკომენდაციები<br>პრაქტიკა აჩვენებს, რომ ენერგეტიკის სფეროს სამართლებრივი სისტემების უზრუნველყოფის თანამედროვე მდგომარეობა, მათ შორის ენერგეტიკის დარგებში კვალიფიციური იურისტების მომზადების საკითხი უკეთესის სურვილს ტოვებს. ამის მიზეზი მრავლადაა, დაწყებული ენერგეტიკის სამარ-<br>თლებრივი პრობლემების სფეროში სამეცნიერო კვლევების ზოგადი სტრატეგიის<br>არარსებობითა და შესაბამისი სამეცნიერო სპეციალობის ფარგლებში<br>სათანადოდ მომზადებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების<br>პედაგოგიური პერსონალის დეფიციტით დამთავრებული. არსებული მდგომარეობის<br>გამოსწორების მცდელობას ქვეყნის ბევრ წამყვან უნივერსიტეტში<br>და სასწავლო უნივერსიტეტში აქვს ადგილი, სადაც სამართალმცოდნეობის<br>სასწავლო პროგრამა ხორციელდება. ამ უნივერსიტეტებს შორის, თამამად<br>შეიძლება აღინიშნოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის როლი და<br>ადგილი ენერგეტიკის სფეროში დარგის მომავალი კვალიფიციური სპეციალისტების<br>მომზადების საქმეში. სახელმძღვანელო მაღალი მეცნიერული ხარისხის და მასში განხილული პრობლემური საკითხების სისხლის სამართლის დოგმატური და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია ის ძირიტადი ლიტერატურის სახით შეტანილ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის სილაბუსში. ასევე მოეწყოს ლექცია/შეხვედრები ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებთან დასმული აქტუალური საკითხების გასაცნობად. გაგრძელდეს მუშაობა წარმოდგენილი ნაშრომის დებულებების პრაქტიკული ასპექტების დანერგვის მხრივ |
| | შეფასება | <u>**დადებითი**</u><br>სახელმძღვანელო „ენერგეტის სამართალი“ იმსახურებს უაღრესად დადებით |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | შეფასებას, სახელმძღვანელოში გაზიარებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ენერგეტიკის სამართალი კომპლექსური ხასიათის სამართლის დარგია. დღეისთვის ენერგეტიკის სფეროში კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ძირითადი ობიექტის – ენერგორესურსებისთვის განსაკუთრებული სამართლებრივი რე-ჟიმი ჩამოყალიბდა. ეს, პირველ რიგში, ენერგეტიკული რესურსების ბუნებრივი თვისებებით, ხარისხობრივი მახასიათებლებით, სტრატეგიული მნიშვნელობით არის განპირობებული. დადგენილია ენერგორესურსების, როგორც საქონლის, მათ შორის, საბირჟო ვაჭრობის, საგარეო-ეკონომიკური გარიგებების, ტრანსპორტირების, გადაზიდვების ურთიერთობის ობიექტების სამარ-თლებრივი რეჟიმის მახასიათებლები. |
| | | | უარყოფითი |
| *ი.გაბისონია, თ. ბარამია „ სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი საგადასახადო სამართალში“* ISBN 978-9941-34-391-9 *თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 388 გვ.* | | | ანალიზი<br>უკვდავია ცნობილი პარალელი: გარდაუვალია ორი რამსიკვდილი და გადასახადი. და უკვდავია იმიტომ, რომ უკვდავი და მარადიულია თავად ცხოვრება, საზოგადოებრივი ყოფა კი რიგიანპირიანად ვერასოდეს აეწყობა, თუ სოციუმის ყოველმა წევრმა არ გადაიხადა კუთვნილი გადასახადი. საამისოდ კი აუცილებელია შემუშავდეს მწყობრი საგადასახადო პოლიტიკა. აქ კი საგანგებო სიტყვა უნდა თქვან სამართლებრივი უსაფრთხოების თეორეტიკოსებმა და პრაქტიკოსებმა. საგადასახადო |

<table>
<tr><td></td><td>
<table>
<tr><td colspan="2">კანონმდებლობის<br>უსაფრთხოების პრინციპების გატარების საბოლოო მიზანი კეთილ-<br>შობილურია: კანონშემოქმედებითი პროცესის თანმიმდევრულობისა<br>და კანონმდებლობის სტაბილურობის მიღწევა.<br>წინამდებარე მონოგრაფიული გამოკვლევა მრავალპლანიანი<br>თხზულებაა, რომელშიც უმთავრესია იმ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების<br>ძიება, აღმოჩენა და განჩხრეკა, რაც თანამედროვე<br>საგადასახადო კანონმდებლობასა და ადმინისტრირებას ახასიათებს.<br>აქვე მითითებულია ზოგი მათგანის აღმოფხვრის გზებზე.<br>ვფიქრობთ, ამ მხრივ მონოგრაფიაში ბევრ რასმე საგულისხმოს<br>იპოვიან სამართალმცოდნეები, სტუდენტები და დაინტერესებული<br>მკითხველები.</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>ნაშრომში წამოწეულია საკითხები სამართლებრივი უსაფრთხოების ჭრილში, წინა პლანზეა წამოწეული გადასახადის გადამხდელთა უფლებები და მათი დაცვის საშუალებები. აუცილებელია წარმოდგენილი მონოგრაფია ასახულ იქნეს სასწავლო კურსების სილაბუსებში.</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td>
<table>
<tr><td><u>დადებითი</u><br>მონოგრაფია უნდა შეფასდეს დადებითად ვინაიდან, საქართველოში პირველად მოხდა წარმოდგენილი თემატიკის აღნიშნული კუთხით განხილვა და საზოგადოებისთვის მიწოდება.<br>მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს როგორც პრაქტიკოს მუშაკებს ასევე მეცნიერებს.</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
</table>
</td></tr>
</table>
</td></tr>
<tr><td>მერაბ ტაკაშვილი<br>ხელოვნური ინტელექტის<br>სამართლებრივი<br>რეგულირება საქართველოში ISBN 978-9941-34-388-9 თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“<br>102 გვ.</td><td>
<table>
<tr><td>ანალიზი<br>ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირება<br>საქართველოში - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის<br>სამართლისა და საერთაშორისო</td></tr>
</table>
</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაცულ სამაგისტრო ნაშრომს წარმოადგენს. ნაშრომში განხილულია ხელოვნური ინტელექტის არსი და განვითარება, საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები, ხელოვნური ინტელექტის რეგულირების პერსპექტივა საქართველოში, ხელოვნური ინტელექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ნაშრომი საინტერესოა როგორც სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრებისათვის, ასევე ხელოვნური ინტელექტის საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის. |
| | რეკომენდაციები<br>ნაშრომი მასში განხილული აქტუალური და ფრიად მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული საკითხებიდან გამომდინარე რეკომენდირებულია სსწავლო პროგრამებისათვის, როგორც ბაკალავრების, ასევე მაგისტრებისა და დოქტორანტურის დონეზე. |
| | შეფასება<br><br>**<u>დადებითი</u>**<br>ნაშრომმა საქართველოში ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი სისტემისა და კულტურის კონტექსტში წარმოშობილი სამართლებრივი რეგულირების შესწავლა, გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ფოკუსირება დაისახა მიზნად. ნაშრომში შესწავლილია უცხო ქვეყნების გამოცდილება ხელოვნური ინტელექტის რეგულირების მიმარ-თულებით, გაანალიზებულია მისი საუკეთესო პრაქტიკა და გაკვეთილები. |

| | | |
|---|---|---|
| | | ნაშრომის კვლევის მთავარ მიზანს ხელოვნური ინტელექტის მოქმედების სფერო, მისი დადებითი და უარყოფი-<br>თი მხარეები, ასევე საქართველოსა და სხვა წამყვანი ქვეყნების სამართლებრივი რეგულაციის შედარებითი ანალიზი წარმოადგენს. ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირების მიზანი კანონების, რეგულაციებისა და ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპების შექმნაა. |
| | | უარყოფითი |
| *ირაკლი გაბისონია, ვაჟა პაპასკირი, ჯემალ გაბელია, მურმან თავდიშვილი, დავით ხუფენია<br>„ქართული სასამართლო და პოლიტიკური მჭერმეტყველება“ ISBN 9789941342202 თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 695 გვ.* | | ანალიზი<br>წარმოდგენილი პოლიტიკური და სამართლის მჭევრმეტყველების ქრესტომათია შეიქმნა კულტუროლოგიის მეცნიერებათა, სისხლის, საჯარო და კერძო სამართლის, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტებისა და მეცნიერების ურთიერთანამშრომლობით. ნაშრომში ზედმიწევნითაა შერჩეული და წარმოდგენილი მჭევრმეტყველების სანიმუშო სიტყვები. წარმოდგენილი მასალა უმნიშვნელოვანესია, როგორც საქართველოს განვითარებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ისტორიულ გზაზე, ასევე სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტებით. ქრესტომათიული კრებული აერთიანებს თეორიულ, პრაქტიკულ და სალექსიკონო-განმარტებით მასალებს. ნაშრომის მიზანია ფართო მასებს წარუდნინოს მჭერმეტყველების საუკეთესო ნიმუშები. |
| | | რეკომენდაციები<br>სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტებს აქამდე არა ჰქონიათ სანიმუშო ორატორული ტექსტები, რომელთა მიხედვითაც გაშლიდნენ |

| | | |
|---|---|---|
| | თავიანთ სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობას. აღნიშნული კუთხით, კრებული გამოადგება არა მარტო სტუდენტებს, არამედ პრაქტიკოს იურისტებს და დიპლომატებს, ასევე ნებისმიერ მოქალაქეს. | |
| | შეფასება | **<u>დადებითი</u>**<br>„ქართული სასამართლო და პოლიტიკური მჭერმეტყველება“ მიეკუთვნება იშვიათ ნაშრომებს თავისი შინაარსით და აგებულებით. ყოველთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა ასეთი სახელმძღვანელოს გამოსვლა რადგან მასში გადმოცემულია მოვლენები რაც ეპოქალურ გავლენას ახდენს ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე |
| | | უარყოფითი |

| | |
|---|---|
| *ირაკლი გაბისონია, ციალა გლოველი, ბესიკ ტეტელოშვილი სამართალმცოდნეობის შესავალი, მეორე გამოცემა* ISBN 978-9941-34-380-3<br>*თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 502 გვ.* | ანალიზი<br>სახელმძღვანელო `სამართალმცოდნეობის შესავალი~ გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის `შესავალი სამართალმცოდნეობის~ ფარგლებში.<br>წინამდებარე სახელმძღვანელო სამართალმცოდნეობის შესავალი განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის სპეციალობის ბაკალავრებისთვის. მასში განხილულია სახელმწიფოს ცნება და არსი; სამართლის ცნება და არსი; სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა; სამართლის წყარო; სამართლის დარგები და სხვ. სახელმძღვანელოს მიზანია, სტუდენტს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და სამართლის ცალკეული დარგების ძირითადი დებულებების შესწავლა- |

<table>
<tr><td rowspan="3"></td><td colspan="2">ათვისებაში გაუწიოს დახმარება.</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>სამართალმცოდნეობის შესავალი კურსის შესწავლის პროცესში სტუდენტებს სპეციფიკური იურიდიული ენის შესახებ შეექმნებათ სათანადო წარმოდგენა. ეს უკანასკნელი კი მათ შესაძლებლობას მისცემს, თავიანთი მომავალი პროფესიული საქმიანობის სფეროში ნორმატიული სამართლებრივი აქტები დამოუკიდებლად შეისწავლონ. ასევე დამოუკიდებლად, წერილობით შეადგინონ მიმართვები სახელმწიფო<br>და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.<br>სასწავლო კურსის ათვისების შემდეგ სტუდენტს შემდეგი ზოგადკულტურული კომპეტენციები უნდა ჰქონდეს:<br>საკუთარი სამოქალაქო პოზიციის ჩამოყალიბების უნარი;<br>საქმიანობის სხვადასხვა სფეროში სამართლებრივი ცოდნის საფუძვლების გამოყენების<br>უნარი.</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>წინამდებარე სახელმძღვანელო გამიზნულია სამართალმცოდნეობის სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. მასში არსებული კვლევები სტუდენტს სახელმწიფოსა და სამართლის საბაზისო კატეგორიების შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბებაში დაეხმარება. სახელმძღვანელოთი სარგებლობისას გაითვალისწინეთ, რომ მოკლევადიანი კურსის ფარგლებში მომავალი იურისტებისათვის სამარ-<br>თლისა და კანონმდებლობის სრული ცოდნის გადაცემის ამოცანა არ დაგვიყენებია.</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | | იმედს ვიტოვებთ, რომ სტუდენტი სასწავლო დისციპლინის შესწავლის შემდეგ უფრო ზუსტად ჩასწვდება სიტუაციებს, თუ როდის ესაჭიროება იურიდიული დახმარების მიღება და იმედიანად უზრუნველყოფს თავისი სუბიექტური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებას. |
| | | უარყოფითი |
| *ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია „უსაფრთხოების პრობლემები სამხრეთ კავკასიაში“ ISSN 1512-1305 საერთაშორიისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“. 18(20) თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 9 გვ.* | ანალიზი<br>სტატიაში გაანალიზებულია პრევენციული პოლიტიკის კონცეფცია, მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სისხლის სამართლის დანაშაულების პრევენციის საქმეში. გამოკვლეულია საქართველოში არსებული პრევენციული პოლიტიკა, მისი გამოვლინებები და პრობლემები, არსებულ კანონმდებლობასთან მიმართებაში. შესწავლილია, სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოს როლი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაში, რაც ხაზს უსვამს უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კოორდინაციის აუცილებლობას. გარდა ამისა, სტატიაში მოცემულია საქართველოს კანონმდებლობის გაუმჯობესების პოტენციური სფეროები, როგორიცაა პრევენციული ღონისძიებების სფეროს გაფართოება, მათი განხორციელების სამართლებრივი ბაზის გარკვევა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობის გაზრდა. | |
| | რეკომენდაციები<br>სტატია „უსაფრთხოების პრობლემები სამხრეთ კავკასიაში“ დააინტერესებს როგორც სამართლის ასევე პოლიტიკის მეცნიერებებით დაინტერესებულ პირებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი სასწავლო პროოცესში გამოყენება და მასში ასახული დებულებების სტუდენტებისათვის გაცნობა სწავლების სამივე საფეხურზე | |
| | შეფასება | <u>**დადებითი**</u> |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | სტატია „უსაფრთხოების პრობლემები სამხრეთ კავკასიაში“ პასუხობს მეცნიერული კვლევის ტანამედროვე მოთხოვნებს წამოყენებული პრობლემები აქტუალურია მათი გადაჭრის წარმოდგენილი ხერხები კი ლოგიკური და ეფექტური |
| | | | უარყოფითი |
| *ირაკლი გაბისონია „საგადასახადო სანქციების და ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების სამართლებრივი, პოლიტიკური, კულტურული და მორალური ასპექტები“* ISBN 978-9941-34-203-5 *სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, სტუ-ის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი, თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.* *15 გვ.* | | ანალიზი<br>სამართლის ნორმის განმარტება განაპირობებს მის სწორ გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ამა თუ იმ საზოგადოებში არსებული, საყოველთაოდ მიღებული ღირებულებების გათვალისწინებას. ამ მხრივ გამონაკლისი არც საგადასახადო კოდექსი და არც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი უნდა იყოს. საგადასახადო სანქციისა და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება სამართლებრივი, პოლიტიკური, კულტურული და მორალური ასპექტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.<br>საქართველოში დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი დახვეწასა და სრულყოფას საჭიროებს, რამეთუ ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სამართლიან პროცესებს. ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველომ იკისრა ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციისა და აპროქსიმაციის ვალდებულება.<br>წინამდებარე ნაშრომში დეტალურად არის განხილული საგადასახადო სანქციებისა და ადმინისტრაციული სანქციების დაკისრების პროცესში არსებულ ხარვეზებზე და მათი გადაჭრის გზებზე. | |

<table>
<tr>
<td></td>
<td>
<table>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>სტატია საინტერესოა კველის პერსპექტიული პოტენციალით. ასევე სწავლების პროცესში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს დამათებითი ლიტერატურის სახით სამართლის მიმართულებებზე</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>სტატია უაღრესად საინტერესო და მეცნიერული კუთხით აქტუალურია ზუსტად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს სამართლის სფეროში დასმული საკითხები კი აქტუალური და საყურადღებოა</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>ირაკლი გაბისონია, ციალა გლოველი, ბესიკ ტეტელოშვილი<br>„სამედიცინო სამართალი“ ISBN 978-9941-34-202-8<br>თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.<br>560 გვ.</td>
<td>
<table>
<tr><td>ანალიზი<br>წინამდებარე ნაშრომში გააანალიზებულია ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა სამართლის, სამედიცინო ეთიკის და დეონტოლოგიის ზოგადი ცნება, განხილულია სამედიცინო საქმიანობის სამართლებრივი რეგლამენტაციის მოკლე ისტორია, თანამედროვე სამედიცინო სამართლის მდგომარეობა, დღევანდელი ჯანდაცვის წარმატებები და ხარვეზები, ჯანდაცვის საკანონმდებლო უზრუნველყოფა. ნაშრომში გაანალიზებულია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები: ქვეყნის კონსტიტუცია, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ ჯანდაცვის სფეროში მიღებული კანონები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრ-თელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებები, წესები, ინსტრუქციები და სხვა კანონქვემდებარე აქტები. განხილულია ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციის საკითხები, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილება ჯანდაცვის სფეროში, მედიცინის მუშაკთა აკრედიტაციისა და სამედიცინო ორგანიზაციების ლიცენზირების</td></tr>
</table>
</td>
</tr>
</table>

| | |
|---|---|
| | საკითხები. გამოკვლეული იქნება დღეისთვის<br>აქტუალური პრობლემა, როგორიცაა სამედიცინო მომსახურება და მისი<br>კონტროლი, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, პაციენტების უფლებები და<br>ქვეყნის ჯანდაცვის დაწესებულებების საქმიანობა; განხილულია მედიცინის<br>მუშაკთა და სამედიცინო ორგანიზაციების<br>უფლებები და მოვალეობები,<br>მედიკოსთა სოციალური დაცვის<br>პრობლემები. ნაშრომში ყურადღება<br>გამახვილებულია არასათანადო<br>მკურნალობისა და სამედიცინო<br>მომსახურების<br>გაწევის სამართლებრივი კვალიფიკაციის<br>ხარვეზებზე; პროფესიული და<br>თანამდებობრივი<br>სამართალდარღვევების დისციპლინურ,<br>ადმინისტრაციულ, სამოქალაქო<br>და სისხლის-სამართლებრივი<br>პასუხისმგებლობის ღონისძიებებზე.<br>განხილულია პროფესიული<br>სამართალდარღვევის შემთხვევაში<br>მედიცინის<br>მუშაკთა სასამართლო-<br>სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების<br>თავისებურებები. |
| | რეკომენდაციები<br>სამედიცინო სამართლის კურსის<br>შესწავლის შემდეგ სტუდენტმა უნდა<br>იცოდეს:<br>• მედიცინის მუშაკთა საქმიანობის<br>მარეგულირებელი კანონმდებლობის<br>ისტორია;<br>• სამედიცინო სამართლის კურსის საგნის<br>ამოცანები და ფორმირების<br>მიზნები;<br>• ჯანდაცვის ორგანიზაციის, სისტემების,<br>დაფინანსების ძირითადი საკითხები,<br>მისი პრინციპები; სამედიცინო<br>საქმიანობის განხორციელების წესი;<br>• მედიცინის მუშაკთა მომზადების,<br>ატესტაციის, სერტიფიცირების,<br>ლიცენზირებისა<br>და სამედიცინო ორგანიზაციების<br>აკრედიტაციის წესი;<br>• მოქალაქის- პაციენტის<br>კონსტიტუციური უფლებები და მათი<br>უზრუნველყოფის<br>ძირითადი იურიდიული მექანიზმები<br>თანამედროვე ჯანდაცვაში;<br>• სამედიცინო საქმიანობის<br>მარეგულირებელი მოქმედი<br>საკანონმდებლო |

<table>
<tr>
<td></td>
<td>
<table>
<tr><td colspan="2">ნორმები და პირველ ყოვლისა, საბაზო კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“2;<br>• არასათანადო მკურნალობისას, პროფესიული და თანამდებობრივი სამართალდარღვევისას სამკურნალო დაწესებულებების, ექიმებისა და სხვა სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხები;<br>• სამედიცინო დაზღვევის სამართლებრივი საფუძვლები.</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>შეფასდეს დადებითად, მასში წამოჭრილი საკითხები საინტერესო და აქტუალურია. მკაფიოდ არის წამოყენებული პრობლემური საკითხები და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის მეცნიერული მექანიზმები</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>ირაკლი გაბისონია, თამარ ბარამია „საგადასახადო სამართალი“ ISBN 978-9941-34-054-3<br>თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“. 390 გვ.</td>
<td>ანალიზი<br>საბაზრო ეკონომიკის პირობებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება, საზღვარგარეთიდან რაც შეიძლება მეტი ინვესტიციების მოზიდვა, მეწარმეებისათვის ხელსაყრელი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რაც ბუნებრივია, პროდუქციის ზრდაზე, ეკონომიკის გაჯანსაღებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე სასიკეთოდ აისახება.<br>ამიტომაც, დღის წესრიგში დგას არამარტო საგადასახადო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება, არამედ ამ მიმართულებით კანონმდებლობის დახვეწა, მათი ლიბერალიზაცია და მათში პასუხისმგებლობასთან ერთად უმეტესად წამახალისებელი ნორმების გათვალისწინება. ქვეყნის საგადასახადო საქმიანობის პროცესში იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეტალებში გარკვევა, რომელთა რეგუ-</td>
</tr>
</table>

ლირება საგადასახადო სამართლის სფეროს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორებმა საჭიროდ ჩათვალეს საგადასახადო სამართლის ახალი სახელმძღვანელოების შექმნა, რაც დროისა და ხარისხის ახალ მოთხოვნებს უპასუხებდა. ბუნებრივია, ამ ამოცანის ხორცშესხმა საკმაოდ რთული გამოდგა, ვინაიდან საგადასახადო სამართლის ზოგად ნაწილში, როგორც წესი წყდება საგადასახადო სამართლის - როგორც სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგის, ყველაზე უფრო რთული და დღემდე საკამათო პრობლემები. ეს გარემოება მეტნაკლებად აისახა წინამდებარე სახელმძღვანელოში. მასში, ნაცვლად ზოგადად დადგენილი საკითხების კომპაქტურად გადმოცემისა, არც თუ იშვიათია საკამათო საკითხების გადმოცემაც. სახელმძღვანელოსათვის ამგვარი კამათი მაინცდამაინც სახარბიელო არ არის, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ სტუდენტებმა ამ კამათში უფრო მეტი შეიძინონ, ვიდრე აზრის მზამზარეულად გადმოცემისას.

რეკომენდაციები

იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ შეიცავს საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიმართებით არაერთ პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციებს, - ნაშრომი დაეხმარება სტუდენტებს (ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს) გამომძიებლებს, პროკურორებს, ადვოკატებსა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს ღრმად ჩაწვდნენ არსებულ პრობლემატიკას, რათა საჭიროების შემთხვევაში არა მარტო გამოიყენონ ნაშრომში არსებული დებულებები, არამედ სხვა ქვეყნებში არსებულთან შედარების გზით ჩამოუყალიბდეთ საკუთარი ობიექტური შეხედულება. საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლებს მისცემს შესაძლებლობას იპოვონ ეფექტური გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| | | შეფასება | <u>**დადებითი**</u><br>სახელმძღვანელო საინტერესოა თეორიული და პრაქტიკული კუთხით წამოჭრილი საკითხები აქტუალურია და შეესაბამება თანამედროვე მეცნიერულ შეხედულებებს გამოირჩევა საინტერესო თხრობით და გადმოცემის ფორმით, პრობლემის დაყენების დაგადაჭრის მაღალი დონით. |
| | | | უარყოფითი |
| *ირაკლი გაბისონია, თამარ ბარამია, ანუკი აბაშიძე - „სამართლიანობის და პროპორციულობის პრინციპის დაცვა ადმინისტრაციული სახდელების დაკისრებისას“* ISSN 1512-1305 *საერთაშორიისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“.№14(16). თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.*<br>*13 გვ.* | | ანალიზი<br>საბჭოთა ეპოქაში ყველა საკანონმდებლო აქტი განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა, სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელმაც ფუნქციონირება საბჭოთა ეპოქაში, 1985 წლის 1 ივნისიდან დაიწყო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩვენი სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტები შეიცვალა, მეტნაკლებად დაიხვეწა და ახალ რელსებზე გადავიდა, დამოუკიდებლად არსებობა დაიწყო და თანამედროვეობას მოერგო, ლოგიკურია, რომ მასში არსებული ნორმებიც შესაბამისობაში მოვიდა დემოკრატიულ წესწყობილებასთან. თუმცა, აღნიშნული განვითარება და ევოლუცია ყველაზე ნაკლებად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაეტყო. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მოქმედი სისტემა შესაძლოა ითქვას, რომ მთელ რიგ შემთხვევებში არღვევს საქართველოს მოქალაქეების უფლებებს და ზიანს აყენებს ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციას, რადგან იგი მძიმე სახდელებს აწესებს საქართველოს | |

<table>
<tr><td></td><td>
<table>
<tr><td colspan="2">კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი პროცესის გარანტიების გვერდის ავლით. 43 სწორედ აღნიშნული საკითხების განხილვის ეძღვნება ავტორთა წარმოდგენილი სტატია, რომელშიც საუბარი იქნება ხარვეზებზე და<br>შემოგთავაზებთ არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს.</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>ნაშრომი საინტერესოა სამეცნიერო და პრაქტიკული კუთხით მნიშვნელობანია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დონის სწავლებისათვის ასევე პერსპექტიულია შემდგომი კვლევისათვის</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>სტატიაში წამოჭრილი საკითხები აქტუალური და სანტერესოა, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კუთხით შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
</table>
</td></tr>
<tr><td>ვახტანგ სონღულაშვილი - ჩვეულებითი სამართლის საკითხები აღმოსავლეთ საქართველოს<br>მთის მოსახლეობაში ISSN 1512-1305<br>საერთაშორიისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“.№14(16). თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“. 11 გვ.</td><td>
<table>
<tr><td colspan="2">ანალიზი<br>ავტორის აზრით ჩვეულებითი სამართალი, რომელსაც თანამედროვე ქვეყნების დიდი ნაწილი სახელმწიფო კანონმდებლობაში ითვალისწინებს, სათავეს იღებს პრეისტორიულ პერიოდში. აღნიშნული<br>სამართლებრივი ნორმები ეფუძნება კონკრეტული ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს,<br>ადათ-წესებს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და დაუწერელი კანონის სახეს იღებდა.<br>საქართველოში ჩვეულებითი სამართლი XIX საუკუნის ბოლომდე მოქმედებდა, განსაკუთრებით<br>მთის მოსახლეობაში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია<br>სუსტად ვრცელდებოდა მთის მოსახლეობაზე. .</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>ნაშრომი საინტერესოა სამეცნიერო და პრაქტიკული კუთხით მნიშვნელობანია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დონის სწავლებისათვის ასევე პერსპექტიულია შემდგომი</td></tr>
</table>
</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td>
<table>
<tr><td colspan="2">კვლევისათვის</td></tr>
<tr><td rowspan="2">შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>სტატია უნდა შეფასდეს დადებითად.</td></tr>
<tr><td>უარყოფითი</td></tr>
</table>
</td></tr>
<tr><td>ალექსანდრე ტალიაშვილი, ირაკლი გაბისონია<br>სალომე ხიზანიშვილი, სოციალური<br>სამართლიანობა და<br>საბაზრო ეკონომიკა~ ISBN 978-9941-25-9<br>გამომცემლობა „მერიდიანი“.<br>286 გვ.</td><td>
ანალიზი<br>
ნაშრომის მიზანია სამართლის, საბაზრო ეკონომიკისა და<br>
სამართლიანობის<br>
ურთიერთდამოკიდებულება განხილული იქნას<br>
სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტებით. ნაშრომი ერთ-ერთი<br>
მნიშვნელოვანი გზამკვლევი იქნება XXI<br>
საუკუნეში სოციალური დემოკრატიის<br>
განვითარების პროცესში გამოვლენილი<br>
პრობლემების<br>
მეცნიერული ანალიზის თვალსაზრისით.<br>
ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს<br>
მიერ პოლიტიკური<br>
კურსის შეფასებისას, მოსახლეობის<br>
ცხოვრების დონის ნიშნული<br>
ქვეყნის პოლიტიკური განვითარების<br>
კრიტერიუმი და ორიენტირია,<br>
ამდენად, ის განსაკუთრებული<br>
აქცენტებით ითხოვს განხილვას,<br>
ნაშრომის მიზანიც სწორედ ეს არის.<br>
ცნობილია, რომ გლობალურ მსოფლიოში<br>
ეკონომიკის განვითარება<br>
ღრმა სოციალიზაციის ტენდენციით<br>
ხასიათდება. მთავრობის<br>
წინაშე მწვავედ დგას სიღარიბის<br>
დაძლევის და რესურსების სამარ-<br>
თლიანი განაწილების უმწვავესი<br>
პრობლემა.<br>
საბაზრო ეკონომიკის პირობებში თუ<br>
რამდენად შესაძლებელია,<br>
სამართლებრივი ნორმებით<br>
სამართლიანობის პრინციპების დაცვა,<br>
ეს საკითხი (საქართველოში სამეცნიერო<br>
წრეების მიერ) სერიოზული<br>
განხილვის საგანი არ ყოფილა.<br>
ამავდროულად, საზოგადოებაში<br>
მწიფდება აზრი, რომ საბაზრო<br>
ეკონომიკის მოდელი არასამართლიანია,<br>
რომ ეკონომიკის სფეროში<br>
უნდა ჩამოყალიბდეს ახალი სახის<br>
ურთიერთობები, რომელიც, თავის<br>
მხრივ, მოითხოვს პოლიტიკური და<br>
სამართლებრივი ხასიათის<br>
ახლებურ მიდგომებს.<br>
რასაკვირველია, საბაზრო ეკონომიკის
</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td>
<table>
<tr><td colspan="2">ახალი მოდელის, მისდამი<br>ახალი მიდგომების საბოლოო მიზანი უფრო მეტად ცივილური<br>და ჰუმანური სოციალური სისტემების (პოლიტიკური,<br>სამართლებრივი, ეკონომიკური, კულტურული) შექმნაა, რომელიც<br>ადამიანებს მისცემს შესაძლებლობას იცხოვრონ სამართლებრივად<br>გარანტირებულ გარემოში, ხოლო ისტორიულ ცვლილებებთან შესაბამისი<br>წინააღმდეგობები კონფლიქტების გარეშე გადაჭრან.</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>კვლევა მიზნად ისახავს სამართლიანობის პარადიგმის, როგორც სამარ-<br>თლიანობის იდეისა და შეხედულებათა ერთობლიობის ზეგავლენის<br>შესწავლას საბაზრო ურთიერთობებზე, ეკონომიკის თავისუფლების<br>ხარისხსა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივაზე.</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>ნაშრომი გამოადგებათ საკითხით<br>დაინტერესებულ<br>ყველა პირს, ვინაიდან,<br>წარმოადგენს<br>სიღრმისეულ კვლევას.</td></tr>
<tr><td></td><td>უარყოფითი</td></tr>
</table>
</td></tr>
<tr><td>მ. ჯიქია, ნ. კინწურაშვილი, ლ. ნაჭყებია, ქ. გუგუჩია, ნ. შამათავა, შესავალი საერთაშორისო სამართალში, მეორე გამოცემა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2023, ISBN 978-9941-8-5385-2. 280 გვ.</td><td>ანალიზი<br>სახელმძღვანელო შექმნილია დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მხარდაჭერით, განკუთვნილია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის. სახელმძღვანელო მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა საერთაშორისო სამართლის ცნება და მნიშვნელობა, მისი განვითრების ისტორია, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, წყაროები, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპები, სახელმწიფოს ტერიტორია და საზღვრები, სახელმწიფოს პასუხის-მგებლობის ცნება და სახეები, საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისოსამართლებრივი მექანიზმები, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო უნივერსალური და რეგიონული ორგანიზაციები.<br><br>აღნიშნული სახელმძღვანელო მოიცავს თითოეული ჩამოთვლილი თემის ირგვლივ</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="4"></td><td>როგორც კლასიკურ, ასევე თანამედროვე მიდგომებს, გაანალიზებულია საერთაშორისო სამარ-თლის რეგულირების სხვადასხვა ასპექტები და მათი რეგულირების ცვლილებათა დინამიკა.</td></tr>
<tr><td>რეკომენდაციები<br>იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო წარმოდგენს საერთაშორისო საჯარო სამართალში გამოცემულ ერთადერთი უახლეს სახელმძღვანელოს უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, მიზანშეწონილია მისი შეტანა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამებში ინტეგრირებულ სასწავლო კურსში - საერთაშორისო სამართალი.</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td><u>დადებითი</u><br>ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო სამართლის სფეროში მაღალი კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალის მიერ, ასევე, ქართულ ენაზე დარგში არსებული სახელმძღვანელოების სიმწირიდან გამომდინარე ის დროულია და შეესაბამება როგორც სასწავლო პროგრამისთვის აუცილებელ, ასევე სამეცნიერო სფეროში არსებულ სტანდარტებს.</td></tr>
<tr><td></td><td>უარყოფითი</td></tr>
<tr><td>მარიამ ჯიქია, ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობიდან დამოუკიდებლობამდე - სეცესიის თანამედროვე პრაქტიკა მონტენეგროს მაგალითზე, სამეცნიერო ნაშრომთა კრებული - ლადო ჭანტურია 60, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2023. ISBN: 978-9941-8-5892-5. გვ. 341-351</td><td colspan="2">ანალიზი<br>გასული საუკუნიდან მოყოლებული ერის თვითგამორკვევის უფლებისა და სეცესიის რეალიზების მრავალი შემთხვევა არსებობს, თითოეულ მათგანს კი მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები და მიზეზები აქვს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დეკოლონიზაციის პროცესით გამოწვეული სეცესიის პრაქტიკა აბსოლუტურად განსხვავდება XX საუკუნის 90-იან წლებიდან თვითგამორკვევის პრაქტიკისგან. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე თვითგამორკვევასთან და სეცესიასთან დაკავშირებული პროცესები ძირითადად</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის კონფლიქტებს უკავშირდებოდა, რაც ხშირად სეპარატისტული მოძრაობებით იყო განპირობებული. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც სეცესია შეიძლება მშვიდობიანი გზით მოხდეს, რასაც გარკვეული სამართლებრივი ჩარჩო უდევს საფუძვლად. ნაშრომში განხილული შემთხვევა, რომელიც მონტენეგროს მიერ თვითგამორკვევის უფლების რეალიზებასა და სეცესიას ეხება, სწორედ ასეთი გამონაკლისია. განსხვავებით მისი მეზობელი ქვეყნებისგან, რომელთაც თვითგამორკვევის რეალიზების მიზნით საკმაოდ რთული გზა გამოიარეს, მონტენეგრომ სამართლებრივი ჩარჩოების დაცვით, სრულიად უმტკივნეულოდ მიაღწია სეცესიას. სტატიაში განხილულია ის კონკრეტული შიდასახელმწიფოებრივი და გარე ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა მონტენეგროს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. |
| | რეკომენდაციები<br>ერის თვითგამორკვევისა და სეცესიის საკითხის კვლევისთვის წარმოდგენილი სტატია საკმაოდ მნიშნელოვანია. მის მნიშვნელობას ასევე განაპირობებს ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების შესახებ ქართულად გამოცემული ლიტერატურის სიმწირე. აღნიშნული სტატიის შეტანა მიზანშეწონილია საერთაშორისო სამართლის მიმართულების სასწავლო კურსების სილაბუსებში. |
| | შეფასება: <u>**დადებითი**</u><br>ნაშრომში საინტერესოდაა ჩამოყალიბებული ერის თვითგამორკვევის პრინციპისა და სეცესიის კონცეპტები. განხილულია ამ კონცეპტების სპეციფიკური მოდელი, რომელიც სტუდენტებსა და აკადემიურ წრეებს აძლევს საშუალებას სეცესიის ფარგლების ახლებური შეფასებისთვის. |

| | | |
|---|---|---|
| | | უარყოფითი |
| **მარიამ ჯიქია, ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკა და წევრი სახელმწიფოების საგადასახადო პრაქტიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2019, ISBN 978-9941-26-533-4. 130 გვ.** | ანალიზი<br>ნაშრომში განხილულია ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპები, ევროკავშირის საერთო საგადასახადო პოლიტიკის მარეგულირებელი ევროპული აქტები, ევროკავშირის ერთიანი საგადასახადო სისტემა და მისი წყაროები, საერთაშორისო საგადასახადო სამართლისა და ევროკავშირის მეორადი სამართლის ურთიერთმიმართების საკითხები. ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების - ესტონეთის, უნგრეთისა და პოლონეთის - პრაქტიკას ევროკავშირთან დაახლოებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში, რადგან აღნიშნული პრაქტიკის გათვალისწინება დადებითი შედეგის მომტანი იქნება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და გატარებისათვის. | |
| | რეკომენდაციები<br>წარმოდგენილი ნაშრომის გამოყენება მიზანშეწონილია სამაგისტრო საფეხურზე ევროკავშირის საგადასახადო სამართლის სილაბუსში. | |
| | შეფასება | <u>**დადებითი**</u><br>ნაშრომი წარმოადგენს ქართულ ენაზე გამოცემულ მეორე დამხმარე სახელმძღვანელოს ევროკავშირის სამართლის მიმართულებით. მაში განხილულია არა მხოლოდ თეორიული საკითხები, არამედ მათი პრაქტიკაში გამოყენების რეალური შემთხვევები სამი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე. |

| | | |
|---|---|---|
| | | უარყოფითი |
| | | |
| **მარიამ ჯიქია, ბავშვი-ჯარისკაცები - კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული - ბავშთა უფლებები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2019, ISBN 978-9941-26-510-5. გვ. 13-25** | ანალიზი<br>სამეცნიერო ნაშრომი ეხება ბავშვი ჯარისკაცების უფლებრივ მდგომარეობას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების შესაბამისად. ნაშრომში დეტალურად არის მოცემული ბავშვი-კარისკაცის განმარტება და მისი მახასიათებელი ნიშნები, ასევე მათი უფლებრივი მდგომარეობა და სამართლებრივი სტატუსი ჰუმანიტარულ სამართალში. საკვლევი საკითხის უფრო სიღრმისეულად შესასწავლად თეორიული ნაწილი გამყარებულია პრაქტიკით, კერძოდ კი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითით. | |
| | რეკომენდაციები<br>ნაშრომში გადმოცემული თემატიკა აქტუალურია არა მხოლოდ საუნივერსიტეტო სწავლებისათვის, არამედ მსოფლიოში არსებული შეიარაღებული კონფლიქტებით და არსებული სავალალო შედეგებით. აღნიშნული საკითხის ირგვლივ მსჯელობა სხვადასხვა ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს, თუმცა ქართულ რეალობაში ლიტერატურის სიმწირეა, შესაბამისად აღნიშნული სამეცნიერო სტატიის გამოყენება დამხმარე ლიტერატურის სახით სხვადასხვა სასწავლო კურსებში მიზანშეწონილია. | |
| | შეფასება | <u>**დადებითი**</u><br>მაშრომი შესრულებულია მაღალ აკადემიურ დონეზე, დასმული კვლევის ამოცანები და კვლევის მეთოდები რელევანტურია, ასევე ამ მიმართულებით არსებული ლიტერატურის სიმწირიდან გამომდინარე, ის წარმოადგენს ერთ-ერთ პირველთაგან სამეცნიერო სტატიას |

| | | |
|---|---|---|
| | | ბავშვ-ჯარისკაცების შესახებ, რომელიც განხილულია როგორც თეორიული, ასევე კონკრეტული პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე. |
| | | უარყოფითი |
| **მარიამ ჯიქია (თანაავტორი), კაზუსები ანტიდისკრიმინაციულ სამართალში (რედ. დ. გეგენავა), სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021, ISBN 978-9941-8-3416-5. 175 გვ.** | ანალიზი<br>ნაშრომი აერთიანებს თანასწორობის ძირითად უფლებასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ 7 მოდელირებულ კაზუსს და მათ ამოხსნას. კაზუსები შედგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკაში არსებულ ნამდვილ საქმეებზე დაყრდნობით. | |
| | რეკომენდაციები<br>ნაშრომი აგებულია სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოს სახით, რაც აძლევს სტუდენტებს საშუალებას სიღრმისეულად შეისწავლონ ანტიდისკრიმინაციული სამართლის ფარგლებში არსებული კაზუსების ამოხსნის მეთოდიკა. სახელმძღვანელო მითითება მიზანშეწონილია სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში არსებული ანტიდისკრიმინაციული სამართლის კურსის ფარგლებში. | |
| | შეფასება | **<u>დადებითი</u>**<br>ნაშრომი შესრულებულია მაღალი აკადემიური სტანდარტების შესაბამისად და ამავდროულად მოიცავს ანტიდისკრიმინაციულ სამართალში არსებული სხვადასხვა სახის კაზუსების ამოხსნის მეთოდიკას ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე. |
| | | უარყოფითი |
| ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა უცხოეთში (მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები, კრებულები, სამეცნიერო | ანალიზი<br>საქართველოსთვის ერთ-ერთ მტკივნეულ და გადაუჭრელ საკითხად ცხინვალის | |

<table>
<tr>
<td rowspan="4">სტატიები)<br>**მარიამ ჯიქია, ქეთევან გუგუჩია, The Dynamics and Results of Conflict in Tskhinvali Region (1980-2022).**<br>**V საერთაშორისო მულტიდისციპლინური კონკგრესის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, IKSAD საგამომცემლო სახლი, სტამბოლი, 2023, ISBN 978-625-6404-44-1.**</td>
<td colspan="2">რეგიონის კონფლიქტი რჩება. მცოცავი ოკუპაციის პირობებში დაურეგულირებელი კონფლიქტის არსებობა პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიულ სუვერენიტეტთან მიმართებით, არამედ საფრთხეს უქმნის ხალხს, იწვევს მხარეებს შორის უნდობლობის გრძნობის ჩამოყალიბებას, 35000-ზე მეტი ადამიანის იძულებით გადაადგილებას და მრავალ სხვა პრობლემას. ტერიტორიულმა კონფლიქტებმა არა მხოლოდ უამრავ პრობლემა გამოიწვია საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით, არამედ მნიშვნელოვნად გაართულა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი.<br><br>მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალის რეგიონი საქართველოს ძირძველი რეგიონია, რასაც მრავალი ისტორიული წყარო ადასტურებს, წარმოდგენილი ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ძირითადი აქცენტი გაკეთდება 1980-იანი წლებიდან განვითარებულ მოვლენებზე, კერძოდ, ეროვნული მოძრაობაზე საქართველოში, მის შედეგებსა და გავლენაზე ცხინვალის რეგიონზე და იქ განვითარებული მოვლენებზე საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ.</td>
</tr>
<tr>
<td colspan="2">რეკომენდაციები<br>შინაარსის გათვალისწინებით, აღნიშნული საკითხი არა მხოლოდ აქტუალურია საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო, არამედ მიზანშეწონილია მისი გამოყენება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში შემავალ შესაბამის სასწავლო კურსებში ლიტერატურის სახით.</td>
</tr>
<tr>
<td>შეფასება</td>
<td><u>**დადებითი**</u><br>სამეცნიერო სტატიაში დეტალურად არის განხილული ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის ისტორიული ექსკურსი, მისი გამომწვევი მიზეზები და გარე აქტორთა როლი აღნიშნული კონფლიქტის დარეგულირებისთვის. ნაშრომის დადებით მხარედ ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ ის</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | | გამოცემულია უცხო ენაზე, რაც ფართო მასებისთვის უფრო მეტ ხელმისაწვდომობას გულისხმობს. |
| | | უარყოფითი |
| **მარიამ ჯიქია, ქეთევან მარშავა, Regional Trends of Migration, VII Aegean Conference, Collection of Papers.**<br><br>**ეგეოსის მე-7 სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, გამომცემლობა „IKSAD GLOBAL", იზმირი, თურქეთი. ISBN: 978-625-367-092-4.** | ანალიზი<br>საერთაშორისო მიგრაცია კვლავ რჩება გლობალური პოლიტიკის დღის წესრიგის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად, რადგან ის დაკავშირებულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ შედეგებთან როგორც გამგზავნ, ისე მიმღებ ქვეყნებში. გლობალური კომისიის ანგარიშის მიხედვით, საერთაშორისო მასშტაბით დაახლოებით 200 მილიონი მიგრანტია, რომელთაგან 60% განვითარებულ ქვეყნებშია, ხოლო დანარჩენი 40% განვითარებად ქვეყნებში. ეს რიცხვი ათწლეულიდან ათწლეულამდე პროგრესირებს მიგრაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზების ზრდის გათვალისწინებით.<br><br>სხვადასხვა კვლევების, მოხსენებებისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ავტორები აანალიზებენ ევროკავშირში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიგრაციის ძირითად მოდელებს; აყალიბებენ მიგრაციის რეგიონალური ტენდენციებისა და მისი მახასიათებლების შესახებ ძირითად მიგნებებს. | |
| | რეკომენდაციები<br>სტატია მნიშვენელოვანია ევროკავშირის საიმიგრაციო სამართლისა და პოლიტიკის მიმართულებით, მით უფრო, როცა აღნიშნული პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება 2023 წელს მთლიანად შეიცვალა. შესაბამისად, სტატიის გამოყენება შესაძლებელია მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამებში შემავალ შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსებში. | |
| | შეფასება | <u>**დადებითი**</u><br>წინამდებარე ნაშრომი ფოკუსირებულია ევროკავშირის შიგნით მიგრაციის ხარვეზების კვლევაზე, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული აღმოსავლეთ |

| | | |
|---|---|---|
| | | გაფართოებასთან 2004 წლიდან, სადაც სოციალურ-ეკონომიკური პირობები უფრო დაბალია, ვიდრე ევროკავშირის დასალეთ ნაწილში მდებარე წევრ ქვეყნებში.<br><br>ნაშრომი შესრულებულია მაღალი აკადემიური სტანდარტის შესაბამისად, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას.<br><br>ნაშრომის დადებით მხარედ ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ ის გამოცემულია უცხო ენაზე, რაც ფართო მასებისთვის უფრო მეტ ხელმისაწვდომობას გულისხმობს. |
| | | უარყოფითი |
| სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (<u>**საქართველოში**</u>, უცხოეთში) | ანალიზი | |
| | რეკომენდაციები | |
| | შეფასება | <u>**დადებითი**</u> |
| | | უარყოფითი |
| | ანალიზი | |
| | რეკომენდაციები | |
| | შეფასება | <u>**დადებითი**</u> |
| | | უარყოფითი |

| | | |
|---|---|---|
| კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პოტენციალი | ანალიზი | |
| | რეკომენდაციები | |
| | შეფასება | დადებითი |
| | | უარყოფითი |
| | | |
| საექსპერტო მოღვაწეობა | ანალიზი | |
| | რეკომენდაციები | |
| | შეფასება | დადებითი |
| | | უარყოფითი |
| ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა | ანალიზი | |
| | რეკომენდაციები | |
| | შეფასება | დადებითი |
| | | უარყოფითი |
| სამეცნიერო ნაშრომების მეცნოირომიტრული მონაცემები და მკვლევართა სამეცნიერი პროდუქტიულობის მაჩვევენებელი | ანალიზი | |
| | რეკომენდაციები | |
| | შეფასება | დადებითი |
| | | უარყოფითი |

**დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი გაბისონია**

**დარგობრივი კომისიის მდივანი - ნინო ხოლუაშვილი**